


ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო  
ს/კ – 405337764  
მის: თბილისი, ალ ყაზბეგის გამზ. N2, 0160



+995 577 07 05 77  
democracyindexgeorgia@gmail.com  
@DemocracyIndex



N 03-274-2022

21 იანვარი 2022

საქართველოს პარლამენტის  
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის  
თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი ქადაგიშვილს

ასლი: კომიტეტის წევრებს

ბატონო ირაკლი,

წარმოგიდგენთ „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს“ მოსაზრებას საქართველოს პარლამენტის წევრი ბადრი ჯაფარიძის საპარლამენტო მანდატის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მოსაზრების ზეპირად წარდგენის მიზნით, რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, გთხოვთ უზრუნველყოთ ორგანიზაციის წარმომადგენლის კომიტეტის სხდომაზე დასწრება.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე

თავმჯდომარე

## დემოკრატიის ინდექსი - საქართველო

მოსაზრება საქართველოს პარლამენტის წევრის ბადრი ჭავარიძის საპარლამენტო მანდატის  
შენიშვნებისთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში განიხილება პარლამენტის წევრის ბადრი ჭავარიძისთვის საპარლამენტო მანდატის შენიშვნების საკითხი. აღნიშნულის საფუძველია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძის მიერ მიღებული განაჩენი, რომლითაც პარლამენტის წევრი 2022 წლის 11 იანვარს დამნაშავედ იქნა ცნობილი, ხოლო ხანდაშილობის საფუძველზე იგი განთავისუფლდა პასუხისმგებლობისგან.

პარლამენტის წევრის ბადრი ჭავარიძისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შენიშვნება არ შეესაბამება ამ მექანიზმის არსებობის მიზანს, ზღუდავს ბადრი ჭავარიძის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას, ასევე მისი, როგორც პარლამენტის წევრის მანდატის მდგრადობის და განვითარების დაუშვებლობის კონსტუტუციურ დანაწესს. ამ ქმედებას არ აქვს გამართლება არც პარლამენტის რეპუტაციის ან აღამიანთა აქტიური საარჩევნო უფლების დაცვის მიზნებით, კერძოდ:

ა. მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შენიშვნების საფუძველს. პარლამენტმა კონკრეტული გამამტყუნებელი განაჩენის შინაარსზე მსკელობის და პარლამენტის წევრის უფლებების და ამომრჩეველთა ინტერესების დაბალანსების შედეგად უნდა გადაწყვიტოს პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შენიშვნების საკითხი.

კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც პარლამენტის წევრს სადეპუტატო მანდატი უწყდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შედეგად, არ უნდა განიმარტოს მხოლოდ ვიწრო-ფინანსურად. საკონსტიტუციო სასამართლომ „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე განმარტა, რომ „...მოცემული დავის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოაზრებული ყველა სამართალდარღვევის იდენტიფიცირების საჭიროების წინაშე. კონკრეტული დავის გადაწყვეტა მოითხოვს, პასუხი გაეცეს კითხვაზე, მოსარჩელის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევა რამდენად შეიძლება მოიაზრებოდეს კონსტიტუციის ხსენებული დებულების ქვეშ.<sup>1</sup> გამომდინარე აქედან, უნდა შეფასდეს სისტემურად ის ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი გარემოებები, რომელიც კავშირშია პარლამენტის წევრის ბადრი ჭავარიძის სისხლისამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე "ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-23.

## **ბ. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გასვლა აქარწყლებს ბადრი ჟაფარიძის მიერ ჩადენილ ქმედებაზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 იანვრის განაჩენით, ბადრი ჟაფარიძის მსჯავრი დაედო დანაშალისთვის, რომლის დევნის ხანდაზმულობის ვადა ბრალდების წარდგენამდე იყო გასული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გასვლის შედეგად ქმედება კარგავს შეთასებისუნარიანობის იმ თვისებას, რაც აუცილებელი იქნებოდა პირზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და მეორეც, სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულად კვალიფიცირდება არა როგორც ფაქტობრივი სინამდვილის, არამედ როგორც იურიდიული სინამდვილის ფაქტი, კარგავს თავის თვისობრიობას კონკრეტული პირის მიმართ.<sup>2</sup>

მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ხანდაზმულობის გასვლის შემდგომ აღარ არის პირისთვის პასუხისმგებლობის დამაკისრებელი იურიდიული გარემოება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით „ტერმინი პასუხისმგებლობა უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა.“<sup>3</sup> აღნიშნული ვალაწყვეტილების შინაარსიდან იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ ტერმინს „პასუხისმგებლობა“ განმარტავს ფართოდ და იგი მოიაზრებს არა მხოლოდ სასკელს დაკისრებას, არამედ ნებისმიერ გარემოებას, რომელიც რამე მხრივ პირის მდგომარეობას იურიდიულად აუარესებს, მათ შორის შეიძლება მოვიაზროთ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა, როგორც დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ნაწილი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მეორე ნაწილი ანესრიგებს შემთხვევას, როდესაც პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და იგი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისგან. ნორმის მიხედვით, ამ მოცემულობაში პირი ითვლება ნასამართლობის არმქონედ. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ ბადრი ჟაფარიძე არა მხოლოდ განთავისუფლებულია რამე სანქციისგან, არამედ მის სამართლებრივ მდგომარეობაზე სხვა ფორმით უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს სასამართლოს გამამტყუნებელმა განაჩენმა. ამ მოცემულობაში მას არ ეზღუდება საჭარო თანამდებობის დაკავების უფლება.

საქმეზე ანთია და ხუთენია საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2020 წლის გადაწყვეტილებით საქართველოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 (არავითარი სასკელი კანონის გარეშე) მუხლის დარღვევა დაადგინა, როდესაც ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად ბრალდებულები გასამართლდნენ. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29.

<sup>3</sup> იქვე, II - 5.

ეროვნულმა სასამართლომ მომჩივნები გაათავისუფლა სასჯელის მოხდისგან და შესაბამის დანაშაულთან დაკავშირებით ნასამართლობის არმქონე პირებად მიიჩნია, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები მომჩივნებს ისე ექცეოდნენ როგორც მსჯავრდებულებს.<sup>4</sup> გამომდინარე აქედან, თუ პარლამენტი გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ბადრი ჟაფარიძეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს შეუწყვეტს მანდატს, წინააღმდეგობაში მოვა კონვენციით დაცულ ადამიანის ძირითად უფლებებთან.

**გ. ბადრი ჟაფარიძე პარლამენტის წევრად არჩეულ იქნა ისეთ პირობებში, როცა ამომრჩევლებისთვის ცნობილი იყო კანდიდატის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ**

პარლამენტმა დამატებით უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ბადრი ჟაფარიძეს არ აქვს შეფარდებული რაიმე სასჯელი, მათ შორის არ აქვს თავისუფლება აღკვეთილი. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტითა და საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს პასური საარჩევნო უფლება და პარლამენტში იყოს საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენელი მაშინაც, თუ მის წინააღმდეგ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და თუ, მას არ აქვს შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პროკურატურამ ბადრი ჟაფარიძის მიმართ გამოძიება დაიწყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. ბადრი ჟაფარიძის არჩევის მომენტი დაიწერეს სებელ ამომრჩეველთათვის ცნობილი იყო როგორც საგარაუდო დანაშაულის არსებობის, ასევე, დანაშაულზე სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ ინფორმაცია. ამ ფონზე მისი ლიდერობით მონაწილე პარტიამ მაინც მოიპოვა ამომრჩევლის მხარდაჭერა.

„დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“ მოგიწოდებთ დაცუათ საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და უარი თქვათ ბადრი ჟაფარიძისთვის საპარლამენტო მანდატის შეწყვეტაზე.

<sup>4</sup> Antia and Khupenia v. Georgia, ECtHR, 7523/10, §42.